პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური. ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაღების, სკვერების, სასაფლაოების მოვლა-პატრონობას და სხვადასხვა კეთილმოწყობით ღონისძიებებს. მოეწყობა გენდერულად პასუხისმგებლიანი ღია დასასვენებელი სივრცეები, სადაც მოსახლეობას, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს (შშმ პირებს, ახალგაზრდებს, მოხუცებს, ბავშვებს და ქალებს) შეუფერებლად შეუძლიათ ამ სივრცეებით, პარკებით, სკვერებითა და საზოგადოებრივი სივრცეებით სარგებლობა.
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9-ის ამოცანა 9.1: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხარისხიანი, სანდო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელშესაწყობად, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბარად ხელმისაწვდომი; მიზანი 11-ის ამოცანა 11.7: 2030 წლისათვის მუნიციპალიტეტში შეიქმნას უსაფრთხო, ინლუზიური და ხელმისაწვდომი მწვანე და საჯარო სივრცეები, განსაკუთრებით ქალებისთვის და ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის და შშმ პირებისთვის

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული მოედნების და დარბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		163,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქ.დუშეთში სპორტკომპლექსისათვის ინვენტარის შესყიდვა, მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ ოძისში სპორტული დარბაზის მშენებლობა.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბაღების, სკვერების, სავაჭრო პავილიონების, სარიტუალო დარბაზების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		1228,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ დუშეთში ყოფილი დოსაფის შენობის (ახალგაზრდული ცენტრის მოწყობა) სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. დუშეთის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ქ.დუშეთის შემოსასვლელში აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაცია, ქ. დუშეთში, მმათა სასაფლაოს ტერიტორიის რებილიტაცია, ბაზალეთის ტბაზე დამცავი ბარიერების და განათების მოწყობა, დაბა ფასანაური. ბაზრის რეაბილიტაცია, დაბა ფასანაურის შესასვლელში საქართველოს სახელმწიფო დროშის ბოძის კონსტრუქციის მოწყობა.		

ქვეპროგრამის	კოდი		დაფინანსება ათას ლარში
--------------	------	--	------------------------



დასახელება	02 06 03	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის" ხელშეწყობა	778,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის აპარატის ხარჯების დაფინანსება. განხორციელდება სკვერების, ზაღების, სასაფლაოების, მოვლა-პატრონობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სხვადასხვა კეთილმოწყობითი ღონისძიებები.		
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		1758,1
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა სოფ. შატილში.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სტიქიისაგან დამცავი მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, შემცირდება სტიქიით მიყენებული ზარალის საფრთხე, განხორციელდება დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		1012,9
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მთელ რიგ შემთხვევებში საჭიროა წინასაპროექტო კვლევების მათ შორის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შესყიდვა. ამასთან აუცილებელია სამშენებლო – სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები. პროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ქ.დუშეთის გენერალური გეგმის შემუშავების ხარჯი.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები იქნება მაღალი ხარისხის, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს).		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა,	მიზანი 9-ის ამოცანა 9.1: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხარისხიანი, სანდო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელშესაწყობად, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი;		

რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	
---------------------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	მონაწილეობითი ბიუჯეტირება	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		1212,9
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ზრდა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 3 პროექტი, რომელიც მიიღებს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას. პროგრამის დებულება, საპროექტო წინანდადეგების გადარჩევის და მონიტორინგის მეთოდოლოგიები დამტკიცებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. პროგრამა შედგება შემდეგი ძირითადი ეტაპებისგან: • საპროექტო წინადადეგების მიღების ეტაპი; • საპროექტო წინადადეგების პირველადი გადარჩევა; • კენჭისყრა და გამარჯვებულის გამოვლენა. საპროექტო წინადადეგების მიღების ეტაპი - საპროექტო წინადადეგების წარდგენა მუნიციპალიტეტის მერიაში შესაძლებელია როგორც ადგილობრივი მაცხოვრებელი ფიზიკური პირის მიერ, ასევე საინიციატივო ჯგუფის/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიერ. მერიაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადეგები უნდა აკმაყოფილებდეს წინასწარ დაწესებულ კრიტერიუმებს; საპროექტო წინადადეგების პირველადი გადარჩევა - სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა საპროექტო წინადადება წინასწარ დაწესებულ კრიტერიუმებს. წინადადეგები, რომლებიც აკმაყოფილებს წინასწარ დაწესებულ კრიტერიუმებს, გადადის კენჭისყრის ეტაპზე; კენჭისყრა და გამარჯვებულის გამოვლენა - კენჭისყრა ტარდება ელექტრონულად, მუნიციპალური ვებ-გვერდის ლინკის მეშვეობით. კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვს დუშეთის მუნიციპალიტეტში საცხოვრებლად რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს. გამარჯვებულად ცხადდება ის პროექტ(ებ)ი, რომელმაც დააგროვა ხმების ყველაზე მეტი ოდენობა, მაგრამ არანაკლებ 265 ხმისა. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები და შექმნილია პირობები ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობისთვის როგორც პროექტების წარდგენის, ასევე კენჭისყრის ეტაპზე. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის „დაგეგმე შენი ბიუჯეტის“ ფარგლებში კენჭისყრის გზით გამარჯვებულია სამი პროექტი: ქ.დუშეთში, 9 აპრილის პარკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დაბა ჟინვალის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ხორხის ხეობის სოფლების ცენტრალური გზის მონაკვეთების რეაბილიტაცია. ასევე დაგეგმილია 2024 წელს გამარჯვებული პროექტის - დაბა ჟინვალში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების დასრულება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება 3 ახალი ინიციატივა, რომლებიც შერჩეულია ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით და კონკურსის წესით; გაზრდილია მოსახლეობის ჩართულობის დონე მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.		

მუხლი 15. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2013,9 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

		ათას ლარში
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა



03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2013.9
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1308.1
03 02	ა(ა)იპ "არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის" ხელშეწყობა	705.8

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1308,1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვებას და გატანას, ქალაქის და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიების დაგვა-დასუფთავებას. ნარჩენების მართვის პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება ქალაქი დუშეთი და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11-ის ამოცანა 11.6: 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		705,8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	არაგვის დაცული ლანდშაფტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მოიცავს მდინარეების – გუდამაყრის არაგვის, ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვის – ხეობებს. მისი საერთო ფართობი 99 802 ჰექტარს შეადგენს. არაგვის დაცული ლანდშაფტი შეიქმნა ეროვნული მნიშვნელობისა და დიდი ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, რომელიც ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად არის ჩამოყალიბებული; ასევე, ამ ტერიტორიაზე რეკრეაციული, ტურისტული და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განსახორციელებლად, რათა გარემოსდაცვით საკითხებთან ერთად, დაცული იქნას ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები. პროგრამის მიზნებია: ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ისტორიით და კულტურით გამორჩეული ისტორიულ-		



	გეოგრაფიული მხარეების-გუდამაყრის, ფშავის და პირაქეთა ხევსურეთის-მდინარეთა ხეობების ტერიტორიების დაცვის, აღდგენის და გონივრული გამოყენების ხელშეწყობა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, განსაკუთრებით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა, მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და რაციონალური გამოყენება, გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერული კვლევებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და კულტურის ძეგლებისა და განაშენიანების ტიპის დაცვა და შენარჩუნება, რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	„არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება, კანონით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მისაღწევად.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 15-ის ამოცანა 15.1: 2030 წლისთვის სახმელეთო და შიდა წყალსატევების ეკოსისტემების და მათი სერვისების, კერძოდ ტყეების, ჭარბტენიანი ტერიტორიების, მთებისა და გამომშრალი მიწების კონსერვაციის, აღდგენისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად

მუხლი 16. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5 845,7 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

		ათას ლარში
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
04 00	განათლება	5845.7
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4496.9
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	27.2
04 03	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	1321.6

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		4496,9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი		
	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.		
	შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება.		



პროგრამის აღწერა და მიზანი	დღეის მდგომარეობით დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 700-მდე აღსაზრდელი. პროგრამის მიზანია:
	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;
	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექტიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება სკოლამდელი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.
	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4-ის ამოცანა 4.2: 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარების, ზრუნვისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისათვის ამოცანა 4.5: 2030 წლისთვის ბავშვებისთვის, მათ შორის მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა უთანასწორობების აღმოფხვრის მიზნით

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		27,2
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბაზალეთის ა/ე-ში, სოფ. პირმისაანთკარის საბავშვო ბაღში ბუნებრივი გაზის მოხმარების მოცულობის გაზრდა.		



მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული პირობები
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		1321,6
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დუშეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების უსაფრთხო და კომფორტული გადაყვანა. თანაბარი სასწავლო შესაძლებლობების შექმნა ყველა მოსწავლისთვის, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა.		

მუხლი 17. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

„კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის“ პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4 164,6 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

		ათას ლარში
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	4164.6
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1521.5
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	100.0
05 01 02	სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა	1271.5
05 01 03	მცხეთა - მთიანეთის სარაგბო კლუბის ხელშეწყობა	150.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2473.1
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	431.2
05 02 02	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	104.6
05 02 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	546.8
05 02 04	მუზეუმების ხელშეწყობა	120.4



05 02 05	კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	232.5
05 02 06	კულტურის სახლების დაფინანსება	741.6
05 02 07	ტელემაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება	4.0
05 02 08	მუსიკალური კოლექტივების დაფინანსება	153.3
05 02 09	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრის" დაფინანსება	138.7
05 03	წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელების წახალისების და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	40.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება	130.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		1521,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახურები	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. 2025 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ჩატარდება მუნიციპალური, რეგიონული, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, უმცროს ასაკში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, ასევე რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში, კარატეში და სპორტის სხვა სახეობაში. პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები ხელს უწყობს სპორტული აქტივობებში გოგონებისა და ბიჭების თანაბარ ჩართულობას.		
მოსალოდნელი შედეგი	მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა და გენდერული ასპექტების გათვალისწინებით თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. სასპორტო განათლების სისტემის განვითარება, ბავშვთა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობისა და ჰარმონიული განვითარების, ფიზიკური აღზრდის, ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, „ვირტუალურ სამყაროში“ ცხოვრებისაკენ მიდრეკილების, ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმისადმი ლტოლვის დაძლევა, ცხოვრების „უძრავი წესის“ ჩანაცვლება ფიზიკურად აქტიური ცხოვრებით. მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 16-ის ამოცანა 16.6: ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე თვითმმართველობის ორგანოების შექმნა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“		
ქვეპროგრამის აღწერა და	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების, ტურნირის, შეჯიბრების		



მიზანი	ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის საშეჯიბრო სისტემის განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		1271,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ დაფინანსებას და შესაბამისად სპორტის სხვადასხვა წრის (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ნიჭბოსნობა, კრივი, კარატე, ტანვარჯიში, ძალოსნობა, მძლეოსნობა) შეუფერხებელ ფუნქციონირებას მთელი წლის განმავლობაში.		
მოსალოდნელი შედეგი	„დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“ მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველის შესაძლებლობა ექნება ჩაებას სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში. განვითარდება სასპორტო განათლების სისტემა. ხელი შეეწყობა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		150,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგის“ დაფინანსებას რომლის ერთ-ერთ წევრს (დამფუძნებელს), მცხეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებთან ერთად წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტი.		
მოსალოდნელი შედეგი	მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში სარაგბო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		2473,1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახურები	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“		
	ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად გაგრძელდება კულტურული		



პროგრამის აღწერა და მიზანი	დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების, თეატრის, ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; პროგრამის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები, კულტურის სხვადასხვა წრეების შეთავაზების დროს ყურადღება ექცევა ქალები/გოგონებისა და კაცების/ზიჩების განსხვავებული საჭიროებებს, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.
მოსალოდნელი შედეგი	გენდერული ასპექტების გათვალისწინებით დაგეგმილი კულტურული პოლიტიკა; არსებული სახელოვნებო და კულტურული დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება, მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11-ის ამოცანა 11.4: მუნიციპალიტეტში კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლისათვის ძალისხმევის გაძლიერება მიზანი 16-ის ამოცანა 16.6: ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე თვითმმართველობის ორგანოების შექმნა ამოცანა 16.10: საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე მუდმივი წვდომის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		431,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს დუშეთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას.		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		104,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება.		
	სახელოვნებო განათლება ქვეყნის კულტურისა და განათლების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, როგორც ქართული კულტურის სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ხელოვნების განვითარების, ისე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფის საკითხში.		
	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.		



	სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს ხატვის, ძერწვის, თეძაზე მუშაობის, ლიტერატურის, საეკლესიო საგალობლების და სხვა წრეები, სადაც სწავლობს 100-ზე მეტი მოსწავლე.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სახელოვნებო წრეები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		546,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის ალ. როინაშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანება“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ, სრულ და ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული განვითარების მიზნით, ისევე როგორც გასულ წლებში, 2025 წელს გაგრძელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ.დუშეთის ალ. როინაშვილის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა, დაბა ჟინვალის, დაბა ფასანაურის სადაბო ბიბლიოთეკა, ანანურის, ჭოპორტის, ბარისახოს, გრემისხევის, დავათის, მაღაროსკარის, ბაზალეთის, ოძისის, ჭართლის, შატილის სასოფლო ბიბლიოთეკები. აღნიშნული ბიბლიოთეკები ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალურ განვითარებას და მოსახლეობის საჭირო ლიტერატურით მომარაგებას.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების შეუფერხებელი ფუნქციონირება. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის გაუმჯობესება. ხელი შეეწყობა ახალი თაობის დაინტერესებას წიგნით. განხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		120,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული მუზეუმების ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ, სრულ და ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება დანიელ ჭონქაძის მემორიალური, დუშეთის მხარეთმცოდნეობის, გოდერძი ჩოხელის მუზეუმები. პროგრამა ხელს შეუწყობს აღნიშნული მუზეუმების ფუნქციონირებას, პოპულარიზაციასა და განვითარებას.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული მუზეუმების ფუნქციონირება. საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით; მუზეუმებში მიმდინარე მოვლენებით საზოგადოების დაინტერესება და დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		232,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურულ-საგანმათლებლო ცენტრის (ადმინისტრაციის) ხარჯების დაფინანსებას, ასევე ქართულ-ლიეტუვური კულტურის ცენტრის დაფინანსებას.
მოსალოდნელი შედეგი	შეუფერხებლად იფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კულტურულ-საგანმათლებლო ცენტრი. უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა კულტურული ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სახლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		741,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ.დუშეთის და დაბა ჟინვალის კულტურის სახლები. აღნიშნული კულტურის სახლები ემსახურება პოეზიის საღამოების, ფოლკლორული და თეატრალური ღონისძიებების ჩატარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.დუშეთის და დაბა ჟინვალის კულტურის სახლებისათვის სცენის აღჭურვილობის შესყიდვა. ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ქალილო“, რომლის შემადგენლობაშიც 21 წევრია, ჟინვალის კულტურის სახლთან არსებული ბენდი, რომლის შემადგენლობაშიც 11 წევრია, ფშავის უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლი, რომლის შემადგენლობაშიც 12 წევრია.		
მოსალოდნელი შედეგი	მოქმედი კულტურის სახლები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. დაკმაყოფილებული იქნება ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და სხვა წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. იდგმება სპექტაკლები. კულტურის სახლების ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელემაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 07		4.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო ბიულეტენის - „დუშეთის მაცნეს“ დაფინანსება, რომელიც ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას საინტერესო-საინფორმაციო სიახლეებით, აგრეთვე - ინფორმაციის მიწოდებას მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი პროგრამების შესახებ.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდა. მუნიციპალიტეტის ორგანოთა საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუსიკალური კოლექტივების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 08		153,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ. დუშეთის, დაბა ჟინვალის და დაბა ფასანაურის სამუსიკო სკოლები, სადაც სწავლობს 200-მდე მოსწავლე, რაც ხელს შეუწყობს მოზარდ თაობაში ხელოვნების განვითარებას. მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსებსა და ფესტივალებში.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრის" დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 09		138,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა და პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ტურისტული განვითარების პოტენციალის კვლევა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური, არქიტექტურული, ქალაქთმშენებლობის (ურბანული), პალეოგრაფიული, მემორიალური, ეთნოგრაფიული და სხვა ტიპის ძეგლების გამოვლენა, შესწავლა და სათანადო საინფორმაციო ბაზის შექმნა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების წახალისება და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		40,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებისთვის არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობას, ახალგაზრდების ჩართულობას მასობრივ ღონისძიებებში, ახალგაზრდების ნიჭისა და უნარების თვითრეალიზებას, სამეწარმეო უნარების განვითარებას. განხორციელდება მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებები, თემატური ფესტივალები გასართობი, შემეცნებითი და არაფორმალურ - საგანმანათლებლო აქტივობები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისება დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების და წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების ხელშეწყობა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც	მიზანი 16-ის ამოცანა 16.6: ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე თვითმმართველობის ორგანოების შექმნა		



ემსახურება პროგრამა		
პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება
	05 04	დაფინანსება ათას ლარში
		130.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყო დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების ფინანსურ მხარდაჭერას.	
მოსალოდნელი შედეგი	რელიგიური ორგანიზაციების შეუფერხებელი ფუნქციონირების მხარდაჭერა	

მუხლი 18. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

„მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის“ პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 891,8 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

		ათას ლარში
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2891.8
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	300.2
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	2580.1
06 02 01	ეკონომიკურად გაჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება	585.0
06 02 02	საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების ხელშეწყობა	803.0
06 02 03	ერთჯერადი სოციალური დახმარება	453.0
06 02 04	დროებით შრომისუუნარობის გამო საჯარო მოსამსახურეთა დახმარება	69.0
06 02 05	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	90.0
06 02 06	უფასო სასადილოს დაფინანსება	221.4
06 02 07	სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	100.5
06 02 08	სარიტუალო მომსახურება	2.0
06 02 09	დევნილთა სოციალური დახმარება	13.0



06 02 10	პროექტის „საქმიანობათა ცენტრი დუშეთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ და "შინ მოვლის დიაკონური სამსახურის" დაფინანსება	130.8
06 02 11	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	42.4
06 02 12	ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის ხელშეწყობა	0.0
06 02 13	პერსონალური ასისტენტის სერვისი	70.0
06 03	მუნიციპალური ამბულატორიების ხელშეწყობა	11.5

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		300,2
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დუშეთის მუნიციპალური ცენტრი"		
